**ლაშა კანთელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
lashakantelashvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.43

# ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები

დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში 2014 წლის 4 აპრილს ადგილობრივ ხელისუფლებასა და რუსეთის მომხრე აჯანყებულებს შორის სრულმასშტაბიანი კონფლიქტი გაჩაღდა. კონფლიქტს წინ უძღოდა 2014 წლის უკრაინის რევოლუცია და სამოქალაქო საპროტესტო ტალღა ევრომაიდანი, რომლის შედეგადაც დასრულდა ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობა. ასევე დემონსტრაციებს წინ უძღოდა 2014 წლის თებერვალ - მარტში რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია. ევრომაიდნის მოვლენების პარალელურად ყირიმის ნახევარკუნძულზე გააქტიურდნენ რუსი აქტივისტები და დაიკავეს აეროპორტი და ადმინისტრაციული შენობები. აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებულ პროტესტს უკრაინის ხელისუფლებამ კონტრტერორისტული ოპერაციით უპასუხა, რაც საბოლოოდ სრულმასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდა პრორუსულ ჯგუფებსა და უკრაინის რეგულარულ არმიას შორის. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის 2021 წლის ოქტომბრის მოხსენების თანახმად 2014 წლიდან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად 3393 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა ხოლო 7000-მდე დაიჭრა [1].

აღმოსავლეთ უკრაინის ომმა ევროკავშირი დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. ევროკავშირი დამოუკიდებლად და ასევე ეუთოს ფორმატში კონფლიქტის დაწყებიდანვე აქტიურად ჩაერთო სიტუაციის მართთვის პროცესში. ევროკავშირ-ეუთოს ურთიერთქმედება სამუშაო დონეზე რამდენიმე ფორმატს მოიცავს, მათ შორის ევროკავშირისა და ეუთოს სამდივნოს ოფიციალური პირების ყოველწლიური შეხვედრები და ევროკავშირის კომიტეტის არაფორმალური შეხვედრები და სამუშაო ჯგუფები. აღნიშნული შეხვედრები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა [4].

„… ევროკავშირმა შეძლო რეაგირება მოეხდინა რუსეთ-უკრაინის კრიზისზე და შეემუშავებინა ინსტრუმენტების რთული ნაზავი, როგორიცაა სანქციები რუსეთის მიმართ, ინსტიტუციური და ფინანსური დახმარება უკრაინისთვის“ და ასევე გაზის მიწოდება. ირინეუშ პაველ კაროლევსკი (პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და პოლიტიკის თეორიისა და დემოკრატიის მკვლევარი) და მაია კ. დევის კროსი (პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი და ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მკვლევარი) ამტკიცებენ, რომ „ევროკავშირი მოიქცა ისე, როგორც ნებისმიერი „ნორმალური“ აქტორი მოიქცეოდა ასეთ ვითარებაში და რეალურად საკმაოდ ეფექტურად იმოქმედა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში, რადგან ის არ იყო პარალიზებული კრიზისით და სწრაფი რეაგირება

მოახდინა ზენაციონალურ, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ დონეზე“[3:138]. უფრო მეტიც, მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირმა „შეძლო შეენარჩუნებინა უწყვეტი პოლიტიკა რუსეთისა და უკრაინის მიმართ შიდა აქტორების მნიშვნელოვანი ზეწოლის მიუხედავად, როგორიცაა ძლიერი ეკონომიკური ლობისტური ჯგუფები (მაგალითად, Ost-Ausschuss der Deutschen Wirtschaft- გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთ კომისია) და ცალკეული წევრი ქვეყნები, როგორიცაა ავსტრია და იტალია, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემსუბუქების მომხრენი არიან [3:138].

ტარას კუზიო, ბრიტანელი აკადემიკოსი და ექსპერტი უკრაინის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამტკიცებს, რომ “ევროკავშირმა ძალიან სუსტად უპასუხა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიასა და ომს დონბასში“. მკვლევრის შეფასებით ევროკავშირმა „მხოლოდ 2014 წლის ივლისში MH17-ის ჩამოგდების შემდეგ მიიღო უფრო მკაცრი სანქციები.“[3:138]. კუზიო ასევე „სკეპტიკურად უყურებს გერმანიისა და საფრანგეთის მიდგომას მინსკის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რადგან ორივე ქვეყანა მზად იყო მიეღო რუსეთის ბევრი მოთხოვნა უკრაინის კონფლიქტის დეესკალაციის მცდელობისა და არა მისი გადაჭრის“ [3:138] ბერლინი და პარიზი დაინტერესებული იყვნენ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღებით და არა რუსეთის მიმართ მკაცრი სანქციების დაწესებით. „ევროკავშირმა რეაგირება მოახდინა რუსეთ-უკრაინის კრიზისზე, მაგრამ მისმა ფოკუსირებამ დიპლომატიაზე, რომელიც ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რეალურად ხელი შეუწყო დონბასში მოუგვარებელი კონფლიქტის შექმნას“ [3:142]. „ევროკავშირმა ვერ გააცნობიერა, რომ მას არ შეუძლია რაიმე სერიოზული გავლენა მოახდინოს უკრაინის რეფორმების პროცესზე“ და უკრაინას წევრობის ნაცვლად აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის გაფართოება შესთავაზა. ჯოლიონ ჰოუორთი მიიჩნევს, რომ „რუსეთ-უკრაინის კრიზისის დროს ევროკავშირის წარუმატებლობა ძირითადად გამოწვეული იყო როგორც ბრიუსელის, ისე ვაშინგტონის მიერ წინა ათწლეულების განმავლობაში ჩადენილი არასწორი გათვლებით შედეგად, ნატოს შემდგომი გაფართოების ჩათვლით“ [3:142]. ევროკავშირმა მარცხი განიცადა რადგან მისმა წევრმა სახელმწიფოებმა კრიზისთან გამკლავების განსხვავებული ხედვები წარადგინეს. ჰოუორთი მიიჩნევს, რომ „ევროკავშირმა კიევთან ურთიერთობაში რაიმე არსებითი პოლიტიკის შემუშავება ვერ შეძლო“ [3:146].

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განხილვისას „საქმე გვაქვს უაღრესად კომპლექსურ, მრავალშრიან და მრავალგანზომილებიან აქტორთან, მრავალი შემადგენელი ნაწილით“ [3:146]. ევროკავშირი არ არის მონოლითური კავშირი. „ვინაიდან ევროკავშირი შედგება 28 დემოკრატიისგან, ევროკავშირის შიგნით არის მაღალი დონის შიდა დებატები და ძალაუფლებისთვის ბრძოლა ევროპაში“ [3:146]. ევროკავშირში არიან ქვეყნები, რომლებისთვისაც რუსეთთან ურთიერთობა ძირითადად ეკონომიკურ ზარალს ან მოგებას უკავშირდება. ასეთი ქვეყნებია იტალია, ავსტრია, კვიპროსი და საბერძნეთი[3:146]. მიტჩელ ორენშტეინი, რუსული და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების პროფესორი ფილადელფიაში, პენსილვანიის უნივერსიტეტში და დანიელ კელემანი, პოლიტიკის მეცნიერების და

სამართლის პროფესორი ამტკიცებენ, რომ „ევროკავშირის ძალაუფლების სანდოობა შეზღუდულია ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განუვითარებლობის გამო [3:146].

ევროკავშირის ქვეყნები და რუსეთის ფედერაცია ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულები არიან. „ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობამ მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები განავითარა რუსეთთან“ [5:21] აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე წევრი ქვეყანა დიდწილად არის დამოკიდებული რუსული ბუნებრივი აირის იმპორტზე. „რუსეთი ასევე წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ექსპორტის მნიშვნელოვან ბაზარს წევრი ქვეყნებიდან, როგორიცაა საბერძნეთი, იტალია და ნიდერლანდები“[5:21]. ჰელენ სჯურსენი და გური როზენი ეყრდნობიან კონსტრუქტივიზმს და მიიჩნევენ, რომ ევროკავშირმა რუსეთისადმი სანქციებს მხარი დაუჭირა „სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის პრინციპებისადმი კოლექტიური ერთგულების განცდის გამო.“[1] ლიანა ფიქსს მიაჩნია რომ რუსეთ-უკრაინის კრიზისის დროს გერმანიამ შეითავსა ევროკავშირში ლიდერის როლი და სწორედ გერმანიის მტკიცე პოზიციის შედეგად მოხდა რუსეთისთვის სანქციების დაწესება [5:32].

ეუთოს დოკუმენტების ბაზაში კონტენტ და დისკურს ანალიზით შესწავლილია 2014 წელს ევროკავშირის გაკეთებული ყველა განცხადება ყირიმის ანექსიის და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ. სულ შესწავლილია 50-ზე მეტი განცხადება და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

| ეუთოში ევროკავშირის განცხადებები უკრაინის კონფლიქტებზე | 2014 წელი |
|---|---|
| „ევროკავშირი მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა დარღვევას.“ | 3 მარტი |
| „რუსეთის ფედერაციის ძალების მიერ უკრაინაში სამხედრო ქმედება საერთაშორისო სამართლის დარღვევაა (..).“ | |
| „მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას შეწყვიტოს სამხედრო მოქმედებები და გაიყვანოს თავისი ძალები მუდმივ ბაზებზე და თავი შეიკავოს უკრაინაში ყოველგვარი ჩარევისგან.“ | |
| „ექსტრემალური, მოძველებული გეოსტრატეგიული კონკურენცია საშიშია ....“ [5:32]. | |
| “რუსეთის მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილებები არღვევს ამ პრინციპს, რომელიც თითქმის 40 წელია, ანუ ჰელსინკის დასკვნითი აქტის შემდეგ, ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედს წარმოადგენს” [5:32] | |

[1] იქვე, 32.

| | |
|---|---|
| „ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ტერიტორიის სამომავლო სტატუსზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ეწინააღმდეგება უკრაინის კონსტიტუციას და, შესაბამისად, უკანონოა. ამ გადაწყვეტილებამ შემდგომი ესკალაცია გამოიწვია.“ | |
| „სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის არაპროვოცირებული დარღვევა და მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას დაუყოვნებლივ გაიყვანოს შეიარაღებული ძალები მათი მუდმივი განლაგების რაიონებში, შესაბამისი შეთანხმებების შესაბამისად.“ | |
| „ჩვენ ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმში გაზრდილი სამხედრო მოქმედებების გამო.“ [8] | |
| “უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი შემდგომი ნაბიჯი უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით, გამოიწვევს დამატებით და შორსმიმავალ შედეგებს ეკონომიკური სფეროების ფართო სპექტრის თანამშრომლობაზე ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის, ერთი მხრივ, და რუსეთის ფედერაციას, მეორე მხრივ.” | 13 მარტი |
| „21-ე საუკუნეში ევროპაში საზღვრების შესაცვლელად ძალის გამოყენების და იძულების ადგილი არ არის. რუსეთის ქმედებები აშკარად არღვევს ჰელსინკის პრინციპებს.“ | 27 მარტი |
| “რუსეთის უჩვეულო სამხედრო მოქმედებები უკრაინის საზღვრებთან და უკრაინის ყირიმსა და სევასტოპოლში.” | 14 მაისი |
| „ევროკავშირი არ აღიარებს 11 მაისის და არც მომავალ არალეგიტიმურ და უკანონო „რეფერენდუმს.“ | |
| „ევროკავშირი იმეორებს თავის მოთხოვნას რუსეთის ფედერაციის მიმართ, გაიყვანოს თავისი ჯარები უკრაინის საზღვრიდან“ [9] | |
| „პრორუსი სეპარატისტები.“ | 15 მაისი |
| „ევროკავშირი მტკიცედ დგას უკრაინის ერთიანობის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოუწოდებს რუსეთს იგივე გააკეთოს“ [10] | |
| “საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, რათა დაიწყოს ნდობისა აღდგენა ეუთოს რეგიონში რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმისა და სევასტოპოლის უკანონო ანექსიის ფონზე“ [11]. | 28 მაისი |
| “ძალადობრივი აგრესია, გატაცებები და პრორუს სეპარატისტთა პროვოკაციები ქმნის შიშის, ქაოსისა და ჩაგვრის კლიმატს. | 29 მაისი |

| | |
|---|---|
| ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი ობიექტების უკანონო ოკუპაცია გრძელდება.” | |
| “ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ პრეზიდენტ პოროშენკოს სამშვიდობო გეგმის მხარდაჭერას. ჩვენ ვაღიარებთ უკრაინის უფლებას და ვალდებულებას, დაიცვას კანონი და წესრიგი მის ტერიტორიაზე და დაიცვას თავისი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა” [12] | 15 ივლისი |
| “ევროპულმა საბჭომ სთხოვა ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შეაჩეროს ხელმოწერა ახალი საფინანსო ოპერაციების შესახებ რუსეთის ფედერაციაში” | 17 ივლისი |
| “ჩვენ ვიმეორებთ, რომ სწორედ შეიარაღებული პრორუსი სეპარატისტთა მოქმედებებია ლუგანსკის და დონეცკის ოლქების ნაწილებში მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ განცდილი სერიოზული ადამიანური ტანჯვის ძირითადი მიზეზი” [13]. ძალაში შევიდა „ევროკავშირის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ“ | 28 აგვისტო |
| „სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის განცხადება, რომ რუსეთს აქვს უფლება განათავსოს ყირიმში ბირთვული იარაღი“ [14] | 18 დეკემბერი |

ეუთოში ევროკავშირის განცხადებებმა მნიშვნელოვანი მოცემულობები გამოამჟღავნა. ევროკავშირმა მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედებები და მიიჩნია უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა დარღვევად. ევროკავშირის შეფასებით რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართალი და ჰელსინკის  დასკვნითი აქტის ძირითადი პრინციპები. განცხადებებში ნახსენებია რუსეთის შეიარაღებული ძალების აგრესიული ქმედებები და უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის არაპროვოცირებული დარღვევა. ევროკავშირმა მკაცრად დაგმო რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერა ყირიმში ჩატარებული უკანონო და არალეგიტიმური რეფერენდუმის მიმართ. რუსეთის ქმედებები ყირიმსა და სევასტოპოლში ევროკავშირის მიერ შეფასდა როგორც ტერიტორიის უკანონო ანექსია. ევროკავშირის შეფასებით რუსეთის ფედერაციისა და შეიარაღებული ჯგუფების მიერ უკრაინის დესტაბილიზაციამ გამოიწვია ადამიანის უფლებების დარღვევა აღმოსავლეთ და სამხრეთ უკრაინაში. ევროპის საბჭომ მიმართა ევროპის საინვესტიციო ბანკს შეეჩერებინა ფინანსური ოპერაციები რუსეთის ფედერაციაში. ევროკავშირის განცხადებებში ასევე ნახსენებია რუსეთის მიმართ სანქციების დაწესების აუცილებლობა. დოკუმენტებში დაფიქსირებულია რომ რუსეთის მიერ ხდება ბოევიკების და სამხედრო არჭურვილობის მოძრაობა რუსეთ-უკრაინის საზღვრის გასწვრივ.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილია პრობლემის მეცნიერული ძიება და სიღრმისეულადაა გააზრებული ევროკავშირის წარმომადგენლობის როლი და საქმიანობა ეუთოში, რამაც საშუალება მოგვცა აგვეხსნა ეუთოს ქცევის მოდელი და მისი ერთ-ერთი ძირითადი აქტორის - ევროკავშირის  საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში. მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობების განვითარება ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს და რუსეთს შორის ამცირებს ევროკავშირის ეფექტური საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში, რადგან ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ რუსეთთან გარკვეულწილად ახლო ურთიერთობები უალტერნატივოა. ევროკავშირის ქვეყნები და რუსეთის ფედერაცია ეკონომიკურად

ურთიერთდამოკიდებულები არიან. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული პრიორიტეტები აქვთ, რაც იწვევს რუსეთის მიმართ მეგობრული ბანაკის შექმნას. ევროკავშირის ინსტიტუტებში არ არსებობს კონფლიქტების მართვის შეთანხმებული სტრატეგია. ევროკავშირს არ გააჩნია კონფლიქტების მართვის თანმიმდევრული სტრატეგია. ევროკავშირის მთავრობების უმეტესობისთვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების პრობლემები ნაკლებად მნიშვნელოვანია.

## ლიტერატურა:


1., „On Ukraine's front lines, Europe's forgotten war grinds on," https://bit.ly/31vstYn.

2.Fix, Liana, "The Different 'Shades' of German Power: Germany and EU Foreign Policy during the Ukraine Conflict," German Politics, December 2018, Vol. 27 Issue 4, p 498-515.

3.Karolewski, Ireneusz Pavel and Mai'a k. Davis Cross, "The EU's Power in the Russia–Ukraine Crisis: Enabled or Constrained?" Journal of Common Market Studies, Volume 55. Number 1. pp. 137–152, 2017, https://bit.ly/3ITrH8u.

4.ŠIMÁKOVÁ, Anna Michaela, "The European Union in the OSCE in the Light of the Ukrainian Crisis: Trading Actorness for Effectiveness?" EU Diplomacy Papers, 3 March 2016, https://bit.ly/31G3fGZ.

5.Sjursen, Helene and Guri Rosen, " Arguing Sanctions. On the EU's Response to the Crisis in Ukraine," Jurnal of Common Market Studies, Volume 55. Number 1. pp. 20–36, 2017.

6.The OSCE, „EU Statement on the Situation in Ukraine," 3 March 2014, https://bit.ly/3rCI6aZ.

7 . „STATEMENT BY MR. PIERRE COCHARD, DEPUTY DIRECTOR GENERAL FOR POLITICAL AND SECURITY AFFAIRS OF FRANCE, AT THE 986th (SPECIAL) MEETING OF THE OSCE PERMANENT COUNCIL" https://bit.ly/3ooreTk.

8 . „EU Statement on the Situation in Ukraine," 7 March 2014, https://bit.ly/3pqWNeF.

9. „EU Statement on Russian Unusual Military Activities and the Situation in Ukraine," 14 May 2014, https://bit.ly/3y5B1AR.

10 . „EU Statement on the Violation of OSCE Principles and Commitments by the Russian Federation and the Situation in Ukraine," 22 May 2014, https://bit.ly/30aw1yC.

11. „EU Statement on Russian Unusual Military Activities and the Situation in Ukraine," 28 May 2014, https://bit.ly/3EC1IQ5.

12. „EU Statement on the Violation of OSCE Principles and Commitments by the Russian Federation and the Situation in Ukraine," 15 July 2014, https://bit.ly/3y6j2dL.

13. „EU Statement on the Violation of OSCE Principles and Commitments by the Russian Federation and the Situation in Ukraine," 28 August 2014, https://bit.ly/3IunxDP.

14. „EU Statement on the Violation of OSCE Principles and Commitments by the Russian Federation and the Situation in Ukraine," 18 December 2014, https://bit.ly/3IGcwiB.



**Lasha Kantelashvili**
University of Caucaus
Tbilisi, Georgia

**The Foreign policy of the Euroepean Union and the political conflicts developed on the territory of Ukraine**

Abstract

The subject of the analytical reciew of the present work is the analysis of the key directions of the EU's foreign policy in the political conflicts that have developed in Ukraine since 2014. The main findings of the study are based on the assessment of statements and performance of EU diplomats and senior officials in the Organization for Security and Coopperation in Europe using content and discourse analysis. In the scientific literature, the foreign policy of the EU is studied in a complex way, but its interaction with the post-Soviet conflicts, especially in the context of the OSCE platform, is less studied. A scientific search of the presented problem and in-depth understanding of the issue shows that the development of clise bilateral relations between some EU member states and Russia reduces the implementation of the EU's effective foreign policy tasks in Ukraine, because the EU considers that somewhat close rrelations with Russia are unavoidable.